საქმე №330310023007179079
საქმე №3/2970-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

26 აპრილი, 2023 წელი **ქალაქი თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ბუაჩიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2023 წლის 21 აპრილს ა(ა)იპ-მა „მწვანე ალტერნატივა“ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია კერძოდ: შპს ჯორჯიან მანგანეზთან 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოწოდების დღემდე წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი (მათ შორის კომპანიის სპეციალური მმართველის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშები შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით) და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლი;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.

სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-447-ე მუხლების თანახმად, შეამოწმა წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და გამოარკვია, რომ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია ხარვეზით, კერძოდ:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

მოსარჩელე მხარე ითხოვს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება არ ერთვის სარჩელს.

სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე მხარემ უნდა წარმოადგინოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა.

მოსარჩელე მხარის მე-2 სასარჩელო მოთხოვნაა, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება.

საქმეში დაცულია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება, რომლითაც ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დაევალა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის, სპეციალური მმართველის ანგარიშების გაცემა.

ამდენად, მოსარჩელე მხარემ უნდა დააზუსტოს დავის საგანი და უნდა მიუთითოს უკვე გაცემული ინფორმაციის ნაწილში სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს

ბრძანების ბათილად ცნობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების მოთხოვნისადმი თუ რა კანონიერი ინტერესი გააჩნია.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 2[1] ნაწილის თანახმად, სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი).

სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი, რომლითაც სახელმწიფო ბაჟი გადახდილია ასოციაცია მწვანე ალტერნატივას სახელით, 2023 წლის 22 თებერვალს სასამართლოში განსახილველი საქმისათვის.

ამდენად, მოსარჩელე მხარემ - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დამადასტურებელი დედანი დოკუმენტი; ამასთან, სახელმწიფო ბაჟი გადახდილი უნდა იყოს მოსარჩელის სახელით, წინამდებარე დავისათვის.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უნდა მიეცეს ვადა სარჩელში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით და დაევალოს ამ განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში შეავსოს მითითებული ხარვეზი.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-13 მულებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-ე, 447-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვროს საპროცესო ვადა 14 (თოთხმეტი) დღე. ვადის ათვლა დაიწყოს განჩინების მოსარჩელისათვის ჩაბარების დღიდან;

2. მოსარჩელეს განემარტოს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **ნინო ბუაჩიძე**